

ასოციაცია "ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის" 2010 წლის 9 ივლისს ატარებს სემინარს "ევროპული საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია". (ასოციაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის ნახვა თანდართულ უფრო ვრცელ მასალაში შეგიძლიათ ვებ გვერდზე www.inovdev.ge).

სემინარი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული ჟან მონეს პროგრამის ჩარჩოებში, როგორც ნაწილი პროექტისა სახელწოდებით საქართველოში ევროპული საინოვაციო პოლიტიკის შესწავლის გაუმჯობესება.

სემინარის მონაწილეები იქნებიან მეცნიერები და უმაღლესი სკოლის მასწავლებლები (ასოციაცია ეგსიგ წევრები), სამინისტროებისა და სამთავრობო სააგენტოების წარმომადგენლები, მკვლევართა და მეწარმეთა გაერთიანებების წარმომადგენლები, კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები, საქართველოში ევროპული კვლევის არსებული ცენტრების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. სემინარს დაესწრებიან საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები.

სემინარის მიზანია საქართველოში უმთავრესი მიზნობრივი/ინტერესტთა ჯგუფების წარმომადგენლებს გააცნოს ევროპული საინოვაციო პოლიტიკის საკითხები. ხაზგასმული იქნება ევროპაში ამ საკითხებისადმი მაღალი ყურადღება. კერძოდ, განხილული იქნება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა ევროკავშირის ლისაბონის პროგრამა, კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის ევროპული ჩარჩო პროგრამა და სხვა. განხილული იქნება, აგრეთვე, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მათი რეგიონების საინოვაციო პოლიტიკების როლი. ნაჩვენები იქნება, რომ ევროპული პოლიტიკის და ევროინტეგრაციაში მისი როლის შესწავლა საქართველოსთვის ამჟამად არარსებული საინოვაციო პოლიტიკის შემუშავების ეფექტიანი საშუალებაა.

სემინარზე განხილული იქნება ევროინტეგრაციის პროცესის ინოვაციასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ:

1. ევროკავშირის, წევრი ქვეყნებისა და მათი ნაწილების (რეგიონების) საინოვაციო პოლიტიკა: მათი ურთიერთქმედება, მიზნები და როლი ევროინტეგრაციაში.
2. კვლევისა და შემუშავების პოლიტიკა. კმ როგორც საინოვაციო რესურსი და ევროინტეგრაცია. საინოვაციო ინფრასტრუქტურა.
3. ინოვაციის მხარდამჭერი განათლების პოლიტიკა.
4. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და მათი გავლენა მრეწველობაზე. საზოგადოებრივი სახსრებით მიღებული ინტელექტუალური საკუთრება.
5. ტექნოლოგიების გადაცემა. ტექნოლოგიების იმპორტისა და ექსპორტის პოლიტიკა.
6. ინოვაციის მხარდამჭერი საფინანსო ინსტრუმენტები.
7. მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციის მხარდაჭერა.
8. საინოვაციო პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში.
9. ინოვაციის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდები. სტანდარტული და განსაკუთრებული ინდიკატორები.
10. შემოქმედებისა და ინოვაციის წელიწადი ევროპაში, აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამა და ინოვაცია და სხვა.

მომხსენებლები ზემოჩამოთვლილ საკითხებზე მომუშავე საექსპერტო/კვლევითი ჯგუფის წევრები იქნებიან.

სემინარის სავარაუდო პროგრამა შეესაბამება ახლადგამოცემული წიგნის (გზამკვლევის) **“მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია”** შინაარსს. წიგნი სემინარის მონაწილეებს დაურიგდება.

სემინარზე გაიმართება საინოვაციო საკითხებისადმი მიძღვნილი ახალი ვებსაიტის სადემონსტრაციო ვერსიის პრეზენტაცია (www.inovdev.ge).

სემინარის ბოლოს გაიმართება დისკუსია თემაზე **“ინოვაციური განვითარების ევროპული გამოცდილება და საქართველო”**.